

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ირ.ჟორდანას სახელობის საქართველოს საწარმოო

ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომის
ოქმი №10

ქ.თბილისი

2018 წლის 30 ნოემბერი

სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები: ნ.ჭითანავა, თ.ურუშაძე, ო.ფარესიშვილი და
ზ.ლომსაძე, ასევე მოწვეული პირები: დ. გამეზარდაშვილი (ცენტრის დირექტორის მოადგილე) და
სხდომის მდივანი რ. ფირცხალავა.

სხდომის თავმჯდომარე: ნ.ჭითანავა

სხდომის მდივანი: რ.ფირცხალავა

დღის წესრიგი:

არჩევნები - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ირ.ჟორდანას სახელობის საქართველოს
საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო განყოფილებების
გამგეების 3 (სამი) ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად (მიწის, წყლის, ტყის რესურსებისა და
ეკოლოგიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; მინერალური და ენერგეტიკული
რესურსების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; ადამიანური და ბუნებრივ-
რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი).

მოისმინეს: ზ. ლომსაძის ინფორმაცია არჩევნების ჩატარების პროცედურის შესახებ. მან აღნიშნა, რომ
არჩევნები ტარდება სამ ვაკანტურ თანამდებობაზე: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ირ.ჟორდანას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი
ცენტრის მიწის, წყლის, ტყის რესურსებისა და ეკოლოგიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი
თანამშრომელი; მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი
თანამშრომელი და ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის
განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, რომელშიც მონაწილეობას იღებს სამი პირი,
მათგან ორი - თ.ურუშაძე და ო. ფარესიშვილი არიან სამეცნიერო საბჭოს წევრები. ზ. ლომსაძე შემოვიდა
წინადადებით, რომ აღნიშნულ პირებს საკუთარ არჩევნებში (კენჭისყრაში) მონაწილეობისას შეუჩერდეთ
ხმის უფლება. შესაბამისად, მიწის, წყლის, ტყის რესურსებისა და ეკოლოგიის განყოფილების გამგე,
მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე კენჭისყრისას უნდა დამზადდეს და დარიგდეს
მხოლოდ 3 ბიულეტენი, ასევე ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის
განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე კენჭისყრისას. რაც შეეხება
მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის
თანამდებობაზე კენჭისყრას, უნდა დარიგდეს 4 ბიულეტენი. ასევე იგი შემოვიდა წინადადებით, რათა
არჩეულ იქნეს ხმის დამთვლელი კომისია 3 წევრის შემდეგი შემადგენლობით.

აზრი გამოთქვას: სამეცნიერო საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭურეს ზ. ლომსაძის წინადადებას.

დაადგინეს: 1. მიწის, წყლის, ტყის რესურსებისა და ეკოლოგიის განყოფილების გამგე, მთავარი
მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე კენჭისყრისას ხმის უფლება შეუჩერდეს ბატონ თ. ურუშაძეს.
შესაბამისად დამზადდეს და დარიგდეს მხოლოდ 3 ბიულეტენი;

2. ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის განყოფილების გამგე, მთავარი
მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე კენჭისყრისას ხმის უფლება შეუჩერდეს ბატონ ო.
ფარესიშვილს. შესაბამისად დამზადდეს და დარიგდეს 3 ბიულეტენი;

3. მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი
თანამშრომელი და ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის

განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე კენჭისყრისას დამზადდეს 4 ბიულეტენი;

4. არჩეულ იქნეს ხმის დამთვლელი კომისია 3 წევრის შემდეგი შემადგენლობით;

2. მოისმინეს: ჩატარდა კენჭისყრა მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი და ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. დარიგდა 4 ბიულეტენი. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო საბჭოს წევრებმა: ნ.ჭითანავამ, ზ.ლომსაძემ, თ.ურუშაძემ და ო.ფარესიშვილმა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა. ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 4 ბიულეტენი. გაუქმებული ბიულეტენების რაოდენობა არც-ერთი.

კენჭისყრის შედეგები: მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების გამგის თანამდებობაზე არჩეულ იქნას გიორგი მაღალაშვილი - 4 (ოთხი) მომხრე, წინააღმდეგი არც-ერთი.

2. დაადგინეს: მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების გამგის თანამდებობაზე არჩეულ იქნას გიორგი მაღალაშვილი;

3. მოისმინეს: ჩატარდა კენჭისყრა მიწის, წყლის, ტყის რესურსებისა და ეკოლოგიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. დარიგდა 3 ბიულეტენი. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო საბჭოს წევრებმა: ნ.ჭითანავამ, ზ.ლომსაძემ და ო.ფარესიშვილმა.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა. ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 3 ბიულეტენი. გაუქმებული ბიულეტენების რაოდენობა არც-ერთი.

კენჭისყრის შედეგები: მინერალური და ენერგეტიკული რესურსების განყოფილების გამგის თანამდებობაზე არჩეულ იქნას თენგიზ ურუშაძე - 3 (სამი) მომხრე, წინააღმდეგი არც-ერთი.

3. დაადგინეს: მიწის, წყლის, ტყის რესურსებისა და ეკოლოგიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულ იქნას თენგიზ ურუშაძე;

4. მოისმინეს: ჩატარდა კენჭისყრა ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. დარიგდა 3 ბიულეტენი. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო საბჭოს წევრებმა: ნ.ჭითანავამ, ზ.ლომსაძემ და თ.ურუშაძემ.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა. ყუთის გახსნის შემდეგ მასში აღმოჩნდა 3 ბიულეტენი. გაუქმებული ბიულეტენების რაოდენობა არც-ერთი.

კენჭისყრის შედეგები: ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულ იქნას ოთარი ფარესიშვილი - 3 (სამი) მომხრე, წინააღმდეგი არც-ერთი.

4. დაადგინეს: ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებისა და ტურიზმის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულ იქნას ოთარი ფარესიშვილი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი:

/ნ.ჭითანავა/

სამეცნიერო საბჭოს წევრები:
ცენტრის დირექტორი, პროფესორი:

/ზ.ლომსაძე/

აკადემიკოსი

/თ.ურუშაძე/

აკადემიური დოქტორი

/ო.ფარესიშვილი/

სხდომის მდივანი:

/რ.ფირცხალავა/